



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

კ ლ ი ო ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ინტელექტის დღე ოზურგეთში ინციდენტით

გაზეთი „ალიონი“



საქართველოს სპორტის და ასლგაზრდულ საქმეთა და განათლების სამინისტროების ერთობლივი პროექტით, 12 მაისს, მთელ საქართველოში ინტელექტის დღე ჩატარდა.

გურიის რეგიონში 64 სკოლის გუნდმა მიიღო მონაწილეობა მასში, აქედან 30-მა ოზურგეთში.

ინტელექტუალური პაექრობა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ფოიეში გაიმართა, რომელიც მიჰყავდა გამოცდილ „ერუდიტს“ ავთანდილ სირბილაშვილს. გუნდებს ორ ეტაპად 12-12 შეკითხვაზე უნდა გაეცათ პასუხები.

საინტერესოდ მიდიოდა პაექრობა, რომ არა ერთი გარემოება; ერთ-ერთი გუნდი, რომელიც შედარებით უმცროსკლასელებით იყო დაკომპლექტებული, ყველა პასუხს კითხვის გამოცხადებისთანავე სცემდა და პირველ ეტაპზე ქულათა მაქსიმუმი მიაგროვდა. ამ ეტაპზე ქ. ოზურგეთის №2 სკოლის, წმინდა ნინოს გიმნაზიის გუნდებს 9-9, ხოლო შემოქმედისა და ნატანების სკოლის გუნდებს 8-8 ქულა ჰქონდათ.

კომისიას გაუჩნდა ეჭვი „დაწინაურებული“ სკოლის გუნდის მიმართ და 14 კითხვის შემდეგ, როცა პასუხების სერია გაგრძელდა, თბილისის დაუკავშირდნენ და „მთავარ ინტელექტ“ გიორგი მოსიძესთან შეთანხმებით მომდევნო კითხვები შეცვალეს. ტესტისათვის, თან პერიოდულად კითხვების ძველ ვარიანტსაც უშვებდნენ. როგორც ჩანს, კომისიის ეჭვი საფუძვლეს არ იყო მოკლებული და მომდევნო 10 კითხვაში ამ გუნდმა მხოლოდ „ტესტის“ კითხვებს უპასუხა.

ინტელექტის დღე საქართველოს ყველა ქალაქში ერთდროულად გაიმართა. აღინიშნა, რომ „დაწინაურებული“ გუნდის ერთ-ერთი მოთამაშის მამა ამ დღეს გურიის სხვა ქალაქში იყო წამყვანი და მას საკონკურსო კითხვები წინა საღამოს გადაეცა. სკოლის დირექტორმა აპროტესტებდა კომისიის აზრს.

კომისიის თავმჯდომარემ, სპორტის და ასლგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გურიის რეგიონში ოთარ რევიშვილმა კომისიის წევრებთან შეთანხმებით დამატებით სასპარეზოდ ყველაზე მაღალი ქულების მქონე შემოქმედის, ქ. ოზურგეთის №2 და „დაწინაურებული“ სკოლის გუნდი დასვა. 6 შეკითხვაზე შემოქმედლებმა 5 კითხვას გასცეს სწორი პასუხი, №2 სკოლამ ოთხს, ხოლო „დაწინაურებულმა“ სკოლამ ერთს(!).

გამარჯვებული სოფ. შემოქმედის სკოლის გუნდი „ლოტოსი“ გამოვიდა: ნიკოლოზ საბაშვილი (კაპიტანი), კონსტანტინე ერქომიშვილი, ანრი ნაცვალაძე, ქეთი ჯვახვა, ნინო ჩხაიძე, ნინო

9 მაისი ოზურგეთში

გაზეთი „ალიონი“



ამ დღეს ტრადიციულად გამართა მოედანზე შეიკრიბნენ ომის ვეტერანები. 20-მდე ვეტერანი იყო. მარადიული ცეცხლი ენთო. უკრავდა მუსიკა, ისმოდა საბრძოლო სიმღერები. ყვავილების გვირგვინით შეამკეს საბრძოლო დიდების ობელისკი. შემდეგ საზეიმო მიტინგი გაიმართა.

ომის ვეტერანებს მიესალმნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექო მამეშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია ვაშაყმაძე, ვეტერანი გიორგი ქილიფთარი, ჟურნალისტი როლანდ თავაძე.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ომის ვეტერანების პატივსაცემად კონცერტი გაიმართა.

დიდი ომი იყო...

წიგნარი ასათიანი



მეორე მსოფლიო ომში ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის პროცენტულად საქართველომ ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. 700 ათასი მებრძოლიდან ნახევარზე მეტი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

ქართველ მებრძოლთა შორის თავი ისახელა ერქომიშვილმა წარმომადგენელმა, ოზურგეთელმა გიორგი ერქომიშვილმა.

—ბაბუა გიგო ერქომიშვილი გურული სიმღერების უბადლო შემსრულებელი იყო. ჩვენი ფესვები გიორგი ბაბილოძესთანაც მაკავშირებს. მამა—ვლადიმერი ბაბუის გზას ღირსეულად აგრძელებდა თავის მძებთან, არტემთან და ანანაისთან ერთად.

1923 წლის 15 მარტს დაიბადა სოფ. მაკვანეთში. 13 წლის ასაკიდან რაიონულ ანსამბლში ვცემავდი.

ომი რომ დაიწყო, მე ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი. მოხალისედ წავედი ფრონტზე. ცნობილ 414-ე ქართულ დივიზიაში მოვხვდი. გამაზნავენს მეთაურთა სკოლაში, რომელიც 1942 წლის ივნისში დედასრულე. უფროსი სერჟანტი საარტილერიო ათეულის მეთაურად დამნიშნეს—ყველა გიორგი ერქომიშვილი.

ბატონი გიორგი კაკასიაში, მდინარე თერგის მდამოებში ჩაება ბრძოლებში. შემდეგ ქ. არმავირის მიმართულებით გააგრძელეს ბრძოლა, რომლის გათავისუფლების შემდეგ გიორგი ერქომიშვილის საარტილერიო ათეული მონაწილეობდა ქ. ტიხორეცკის,



თბილისში ძლიერ წყალდიდობას 5 ადამიანი ემსხვერპლა

თბილისში ძლიერ წყალდიდობას წუხელ სუთი ადამიანი ემსხვერპლა. როგორც "ინტერპრეს-ნოუსს" საგანგებო სიტუაციების სამსახურიდან აცნობეს, დაღუპულთა შორის ორი მცირეწლოვანი ბავშვა - 5 წლის და 6 თვის. გარდაცვლილი ასევე ორი ქალბატონი და ერთი მოზოცი მამაკაცი.



წინასწარი ვარაუდით, წყლის მოვარდნა ხეობიდან ჩამოწოდებულმა ღვარცოვამ გამოიწვია, რომელმაც ფოთლები, ტოტები და მორები წამოიღო და სანიღვრე სისტემებში საცობები წარმოშვა. ამის გამო წყალმა დინების მიმართულება შეიცვალა და იმის ნაცვლად, რომ კოლექტორებიდან მტკვარში ჩადინებულიყო, ქუჩაში მოვარდა.

მოვარდნილმა ნიაღვრამ რამდენიმე ავტომანქანაც გაიტაცა, რომლებსაც სამშველო სამსახურის წარმომადგენლები ამ დრომდე ეძებენ. უბედური შემთხვევის ადგილზე ამ დრომდე მოხიზვებულია მძიმე ტენიკა.

დატბორილია შენობა-ნაგებობების სარდაფები, ასევე პირველი სართულები. სახიფათო ზონიდან მოსახლეობა ევაკუირებულია. დედაქალაქის რამდენიმე უბანს ელექტროენერგია შეფერხებით მიწოდდება. გასწვრივ საშუალოებს თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლები საგანგებო რეჟიმში ატარებენ.

ipn.ge

გურიის "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერის თემურ სალუქვაძის განცხადება



ქართული ოცნება ეს არის იდეა, ეს არის იმედი, რომლითაც ცოცხლობს საქართველოს კეთილდღეობის მოსურნე ყველა ადამიანი. მე პირადად ვვიქრობ, ბატონი ბიძინა ივანიშვილი დემოკრატიაში გამოაჩინა პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავლანად. კოალიცია "ქართული ოცნება" არის ერთადერთი გზა, რომელიც გამოიყვანს ჩვენს ქვეყანას არსებული მდგომარეობიდან.

ამ იდეის განხორციელებას საფუძვლად უდევს ჩვენი ხალხისა და ერის კონსოლიდაცია. ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, ზოგნი პოლიტიკურ პარტიას წარმოვადგენთ, ზოგნი სამოქალაქო სექტორს და ა. შ. ყველას გვაქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ დღეს ამის განსჯის დრო არ არის. ყველა ადამიანს აქვს უფლება იბრძოდეს თავისი ქვეყნის გადარჩენისათვის. არ მიმჩნია მიზანშეწონილად ადამიანების დაყოფა რაიმე ნიშნის მიხედვით. არ უნდა ვეძებოთ ერთმანეთში მტრები. გვახსოვდეს, რომ სიყვარული აერთიანებს და ეს უნდა იყოს საფუძვლი ჩვენი საერთო საქმისა.

ჩვენ ყველანი ერთმანეთისთვის ძვირფასნი უნდა ვიყოთ, ამ შემთხვევაში მივალწევთ ერთმანეთის ნდობას და ერთგულებას, რაც იქნება ჩვენი წარმატების გარანტი. ბატონი ბიძინა ხშირად გვასწავებს, დიდი ილიას ბრძნულ სიტყვებს: „ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ნაწილი ვართ ერისა, ამიტომ ჩვენი ბუნებრივა უნდა ვეძებოთ მთელი ერის ბუნებრივებაში და არა ცალკე“.

სწორედ ეს არის ჩვენი "თავისუფალი დემოკრატების" სამოქმედო პრინციპი, რომელიც თითოეული ჩვენგანის სერიოზულობისა და პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს მოითხოვს. სხვა დამოკიდებულება საერთო საქმისადმი არის მოუღებელი. თითოეულმა ადამიანმა, პოლიტიკურმა ძალამ, სამოქალაქო საზოგადოებამ, რომლისთვისაც ძვირფასია საკუთარი ქვეყანა და ქართული ოცნების იდეა, ყოველივე შრომითა და პოლიტიკური ბრძოლით უნდა მოვახდინოთ მოსახლეობის კონსოლიდაცია, რათა სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ჩამოვამოროთ ხელისუფლებას.

7 დღის ამინდის პროგნოზი

	ღრუბელი +15+21		ღრუბელი +15+23		მზ, ღრუბელი +16+27		მზ, ღრუბელი +15+25		მვირამ წვიმა +18+27		წვიმა +14+22		წვიმა +14+19
14 მაისი ორშაბათი	15 მაისი სამშაბათი	16 მაისი ოთხშაბათი	17 მაისი ხუთშაბათი	18 მაისი პარასკევი	19 მაისი შაბათი	20 მაისი კვირა							

დიდი ომი იყო...

ქ. კრაპოტკინის, პიატიკორსკის და ქ. კრანსოდარის გათავისუფლებაში. შემდეგ ქ. ნოვოროსისკში იბრძოდა, ქ. ანაპის გათავისუფლებელ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა. ანაპის გათავისუფლების შემდეგ 414 ქართულ დივიზიას ანაპის დივიზიის სახელი ეწოდა.

1943 წლის დეკემბრის ბოლოს ქართული დივიზია ფრონტის ყველაზე რთულ ადგილს—ქერჩს მიაღწა.

—31 დეკემბერს დესანტად გადავსხვს ქერჩში—ყველა ბატონი გიორგი. სადესანტო გემი ნაპირამდე ვერ მივიდა და ვინც ცურვა ვიცოდით, ნაპირამდე გავცურეთ, ვინც არა და... დილით ასეულობით ჯარისკაცის გვაში ტივიტებდა ზღვაში...

13-ჯერ ვცადეთ ქერჩში შესვლა. დიდი მსხვერპლი იყო. მხოლოდ მე-14 შეტევისას იქნა აღებული ქერჩი. შემდეგ ყირიმის ნახევარკუნძულის ყველა ქალაქის გათავისუფლებაში მივიღე მონაწილეობა. 1944 წლის მაისში კი ქ. სევასტოპოლი გათავისუფლეთ. შავი ზღვა სისხლისფრად იყო შეღებოლი.

კვლავ გამაგზავნეს 6-თვიან სამეთაურო კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ გამანაწილეს 414-ე დივიზიის საარტილერიო პოლკის II დივიზიონის ბატარეაში ოცეულის მეთაურად. არაერთი საბრძოლო ჯილდო მივიღე.

ბრძოლა კენინსბერგში დავასრულე... გიორგი ერქომაიშვილის შესახებ მოთხრობილია ჯანჯღავას წიგნში „414 წითელდროშოვანი ქართული დივიზია“. ქვემოთს გუნდის მეთაურმა, სერჟანტმა გიორგი ერქომაიშვილმა ზუსტი სროლით მტრის ნაღმსატყორცნი ბატარეა დაადუმა მისი მომსახურე პერსონალით—„კითხულობთ წიგნში.

ომის ვეტერანმა საინტერესო ეპიზოდებიც მოგიყვება:

—ფრონტზე მოხვედრამდე ტიფი დამეპართა. ქ. მახჩკალაში ვიწექი პოსაიტალში.

ყოველდღიურად ჩვენი პალატიდან 7-8 მიცვალებული გაჰქონდათ. ერთხელ მეც, როგორც მიცვალებული, გამამწესეს მორგში. მორგის ექიმმა მკვდრების დათვალიერებისას ჩემს მავას შეავლო ხელი. სუსტად მიცემდა და მიხვდა, ჯერ არ ვიყავი მზად სამიქვეყნიოდ გასამგზავრებად. დამაბრუნეს პალატაში.

ერთ დღეს მორგე ექიმი მეუბნება—გაიხვედ ფანჯარაში, ვინ არისო. მე ისე ვიყავი გაწამებული ნემსებისგან, გახვევის თავიც არ მქონდა.

როცა გავიხვედი, ფანჯარასთან მამა-ვლადიმერი იდგა. წარმოუდგენელი შეხვედრა იყო. მან ხურჯინით ბევერი რამ საჩუქრად ჩამოუტანა ჩემს ექიმს, მათ შორის წითელი ლვინო. იცით, რა ჰქნა იმ ექიმმა? ყველაფერი მე მიმაღებინა, მათ შორის ცოტაც წითელი ლვინოც და ფეხზე დამაყენა...

მეორე შემთხვევა უკრაინაში იყო. ჩვენი საარტილერიო ათეული ერთ-ერთ სოფელში იდგა. ჩვენთან მოვიდა ადგილობრივი მცხოვრები ქალბატონი, მე შემარჩია და სახლში მიმიწვია. ომამდე თურმე მისი ვაჟიშვილი მსახურობდა ჯარში ქ. ქუთაისში და ქართველების მადლიერება ჩემი გამაპნინძლებით გამოხატა...

ომის შემდეგ გიორგი ერქომაიშვილი კვლავ აგრძელებდა ხელოვნებაში მოღვაწეობას. მეუღლე—ნათელა თოიძეც სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლის წევრი იყო.

შვილი—მაია, შვილიშვილი გიორგი, შვილითაშვილი ბაჩო—ესენი მათი სიხარულია.

გიორგი ამჟამად ომის ვეტერანთა რაიონულ ორგანიზაციას უღვას სათავეში.

—დიდი ომი იყო, მილიონობით ადამიანი დაიღუპა. საქართველომ მას შემდეგ აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომები გამოსცადა. მინდა მშვიდობა იყოს—თქვა ბატონმა გიორგიმ რედაქციაში სტუმრობისას.

გაზეთი "ალიონი"-ს რედაქტორის ბატონ ნუზუარ ასათიანს

ბატონო ნუზუარ, მოგმართავთ თხოვნით დიდებული მამულშვილისა და პედაგოგის - შოთა ინწკირველის აღზრდილები. 2009 წლის 25 ნოემბერს გაზ. "24 სათში" გამოქვეყნდა პროფესორ მერაბ ძნელაძის "მასწავლებლის გახსენება", რომელმაც ჩვენზე დიდი ემოციური შთაბეჭდილება დატოვა. ოზურგეთში დაბადებული და გაზრდილი შოთა მასწავლებელი გურიაზე უზომოდ იყო შეყვარებული, სადაც უამრავი ახლობელი და მეგობარი ჰყავდა. ჩვენი თხოვნაც ისაა, რომ იქნებ თქვენთან მივე სტატიის ვრცელი ვარიანტის გამოქვეყნება იყოს შესაძლებელი. ამასთანავე, დადგეს საკითხი გურიის მხარის ხელისუფლებაში, რომ მისი ობიექტისთან დაკავშირებით ჩატარდეს მოსწავლეთა საჭადრაკო შეჯიბრი-ტურნირი-ფესტივალი ან მსგავსი ღონისძიება, ხოლო ჭადრაკის კლუბს მისი სახელი ეწოდოს. ყოველივე ეს მან უდაოდ დაიმსახურა. იმედი გვაქვს გურია ღირსეულად დააფასებს თავისი მიწიდან გამოსულ ღირსეულ ქართველს.

პატივისცემით, **პასა ჩიხომიძე, მზია ჭარბიანი, გიორგი მაჭარაშვილი და გიორგი ნომერიძე** (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ჭადრაკში).

1994 წლის გვიანშემოდგომის-გიორგობისთვის ყინვიან შუადღეს, საქართველოს გამოაკლდა სამშობლოს თავისუფლების, მისი მომავლის მოტყუარა მამულიშვილი, მოღვაწე მასწავლებელი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ჭადრაკში - შოთა ინწკირველი. მისთვის 24 ნოემბერი ამ ქვეყანაზე მოსვლისა და წასვლის დღე აღმოჩნდა. იმ დღეს 65 წელი შეუსრულდა.


გახსენება მასწავლებლისა (შოთა ინწკირველი)

მსოფლიოს საჭადრაკო პრაქტიკას არ ახსოვს და ალბათ უნიკალური შემთხვევაა ერთი პიროვნების მიერ მაღალი რანგის ესოდენ დიდი რაოდენობის მოჭადრაკეთა გაზრდისა. ოლომპიურ, მსოფლიოსა და საერთაშორისო პირველობებში გამარჯვებული ექსტრა კლასის საერთაშორისო დიდოსტატები და ოსტატები: ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნინო გურიელი, ნანა იოსელიანი, რომან ვინიჯინაშვილი, გენადი ზაიჩიკი, დავით გურგენიძე (სამეზის მსოფლიოს ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში), ქეთევან კახიანი, მაია ლომინეიშვილი, თეიმურაზ ლომია, ციცილო კახაბრიშვილი, ლეილა ნაჭყვია, ნინო ზუბულური, მერაბ ძნელაძე, კასა ჩიგოგიძე, ვარლამ ვეფხიშვილი, მზია წერეთელი, ივორ კუზნინი, ნატო ბაღაშვილი, ლალი გელაშვილი, ზურაბ ზამბახიძე, თამაზ ტაბატაძე, აკაკი იაშვილი, ქეთევან და ნინო მელაშვილები, კასა შალამბერიძე, ზაზა გიროზია, ბექა კვარაცხელია, ირაკლი ძნელაძე, რევაზ კაკაბაძე, ცირა მერეკლიშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები: გიორგი მაჭარაშვილი და გიორგი ხომერიკი (თავიანთი მრავალრიცხოვანი წარჩინებული მოწაფეებით) და კვალიფიციურ მოჭადრაკეთა მთელი არმია. შოთა ინწკირველთან მიღებული პატიოსნების, უმწიკლოეობის, კაცადკაციის გაკვირვებები ცხოვრების საგზავად და მეგობრად გაიყოლა... პოეტები, მწერლები, კინოსა და თეატრის მოღვაწეები, სპორტსმენები, მეცნიერები: ლაშა თაბუკაშვილი, რევაზ ევაძე, კარლო კობერიძე, ანზორ სალუქვაძე, ლამარა ჭყონია, ნუგზარ ბაგრატიონი, ლაშა ნადარეიშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, იმელო ფხაკაძე, ზურაბ კანდელაკი, მანუჩარ და გონა მანაიძეები, ორამ ქემერტილიძე, ნიკა ბერაძე, კახი ჩიგოგიძე, მერაბ ძნელაძე, ჯამლეო მერეკლიშვილი და კიდევ მრავალი სხვ.

„ოსტატი ნახელავით იცნობა, მასწავლებელი - აღზრდილით“.

განსაკუთრებული თვითმყოფადი ხასიათი შოთა ინწკირველს ყოველთვის გამოჩნეულს ხდოდა. მასში უმთავრესი სიყვარული იყო - უხომო სიყვარული სამშობლოსადმი - საქართველოსადმი, უხომო სიყვარული ქართული ჭადრაკისადმი, ბავშვებისადმი. მასხენდება 30-40 წლის წინ, თუ როგორ დადიოდა იგი ქართულ სკოლებში და რა სათუთად კრიბავდა ასობით პატარა ქართველს, რომ შემდეგ მათში ჭადრაკის სიყვარულთან ერთად საქართველოს სატეხა დაეკვიდრებინა. "ნამძალდევი", მაშინ ლენინის რაიონის პიონერთა სახლში ("სადაც დაკარგულში") ერთი მოცუტუნული ოთახი ეპება ჭადრაკის კაბინეტს - ჩვენ "გაბრწყინებულ საქართველოში" შევდიოდით. ილია, ვაჟა, აკაკი, ივანე, დავითი, თამარი, ფარნავაზი, ვახტანგი, მირიანი, გალაქტიონი, ლალი, ნონა, ბუნუსტი და ისევ დიდი ილია სამუდამოდ ჩვენი სათაყვანებელი გახდნენ.

ახლა ადვილია ყოველივე იმის თქმა, რასაც მაშინ იგი ჭადრაკთან ერთად, უმეტესწილად, "აღზნებული გვიჩინებდა"- გვმომღვრავდა, მაგრამ იმ დროისათვის (პიონერთა სახლში!) მისი საქმიანობა გმირობა თუ არა დიდ გამბედაობასა და ვაჟკაცობას წარმოადგენდა. მასხენდება, მაშინ, ქართველ მოჭადრაკეებში რუსულ-ქართულ ნარევი ტერმინოლოგიით საუბარი ჩვეულებად იყო მიღებული. ქართველი მოჭადრაკეების დიდი ნაწილი რუსული საჭადრაკო ანბანით სარგებლობდა და ახალგაზრდებსაც ასე ასწავლიდნენ. დასამსხოვრებელი იყო ისიც,



თუ როგორ ცინიკურად უყურებდა რიგი "წარჩინებული" მოჭადრაკე და მმართველი საჭადრაკო "ჩინოვნიკი" "ქარის წისკვილებთან" მებრძოლ ახალგაზრდა მოჭადრაკესა და მწვრთნელს - შოთა ინწკირველს, როცა ის ქართული საჭადრაკო, და არა მარტო საჭადრაკო, ენისა და დამწერლობის დამკვიდრებას რომ მოითხოვდა. ამ შემთხვევაში, იგი მუდამ დაუდგარი და შეურიგებული იყო, რამაც საბოლოოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში ქართული საჭადრაკო დამწერლობის დროულ დამკვიდრებაში. რაც შეეხება მის პედაგოგიურ საქმიანობას, ზემოთ ჩამოთვლილ აღზრდილთა სახელები და დიდი რაოდენობით გამოქვეყნებული საჭადრაკო თეორიული, კრიტიკული თუ პუბლიცისტური ნაშრომები თვალნათლივ მეტყველებენ.

ბრწყინვალე მეხსიერების, დიდი ცოდნისა და ინტელექტის პატრონი, ცხოვრებაში სავსებით არაპრაქტიკული აღმოჩნდა. მის კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებათაგანს უანგარობა და თავდაუზოგავობა წარმოადგენდა. დაუეწიყარია, ყველა მის მოწაფეთათვის, თუ როგორი ბედნიერი სახით, წიგნებით დაზინული, ჭადრაკის კაბინეტში შემოვიდოდა - თავის „თავისუფალი საქართველოს ტერიტორიაზე“. იგი, მიღებულ არც თუ ისე სამყოფ ხელფასს, უმეტესწილად, ჩვენთვის - მოსწავლეთათვის საჩუქრად ნაყიდ წიგნებში ხარჯავდა. როცა სხვა რიგი "რჩეული მწვრთნელი" ცხოვრების ყველა სიკეთით სარგებლობდა, იგი თავის ბოლო კაპიკებსაც სხვას უნაწილებდა. მისთვის, მეცადინეობისას საათი და რეგლამენტი, თავისთავად ჩვენთვისაც, არ არსებობდა. ხშირად მასწავლებლისავე ნაყიდი ფუნთუშებით ვიმარგებდით თავს. წვრილმანებია ვითომ?

მოწაფეებზე ფიქრში დამებუი უთენებია, დიდ ენერგიას ხარჯავდა. ყოველთვის დაჩაგრულს ენმარებოდა. ვერ იტანდა სიყალბეს და კომპრომისზეც არასდროს არ მიდიოდა. ცდილობდა და ადვილადაც ახერხებდა მოწაფეები ისე აღეზარდა, რომ არ ყოფილიყვნენ ობივატელები და "ხელოსნები"- "დეღვანდელ კვერცხზე მეოცნებენი". ცდილობდა ჩვენში ჩაენერგა, როგორც ჭადრაკში, ისე ცხოვრებაშიც, "ხელოსნობას" და "ხელოვნებას" შორის განსხვავების უნარი. იგი მეორეს აძლევდა უპირატესობას.

მერაბ ანაბაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ეროვნული ოსტატი ჭადრაკში

გაბრძენება შიმშილ ნომერში

გაკვეთილი გაკვეთილების შემდეგ

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ჩართულია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამაში. მათი ხელშეწყობით ამ პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის №5 საჯარო სკოლაში (დირექტორი მერი საბაშვილი) მიმდინარე სასწავლო წლის ნოემბერში სამოქალაქო განათლების კლუბი შეიქმნა. (კლუბის ხელმძღვანელი ლილი მენაბდე) კლუბის ლიდერია XI კლასის მოსწავლე ლია გოგუაძე. ამ ხნის განმავლობაში კლუბის წევრთა ინიციატივით მრავალი საინტერესო შეხვედრა, აქცია თუ ინიციატივა განხორციელდა, მაგრამ ყველაზე შთაბეჭდილებით მათ შორის იყო ვიზიტი ქალბატონ ანა სიხარულიძე-ბზიავასთან.



ქალბატონმა ანიკამ ერთი საუკუნე წელში გატეხა და მეორე საუკუნის აღმართს აუყვა. ჩვეული გულისხმიერებით მიგვიღო სტუმრად მისულები, თან გვისაყვარელა, რატომ ადრე არ გამაფრთხილებთ უფრო კარგ მასპინძლობას გაგიწევდითო, თუმცა სუფრა სანოვანის სიმცირეს არ უჩიოდა.

მოგვხიბლა ქალბატონი ანას გულთბილმა საუბარმა, გულახდილობამ, დედაშვილურმა დარიგებამ. ანასაულის ცოცხალი მატანე ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს გვეცმდა. 1936 წლიდან მოყოლებული ანასაულის სინამდვილეში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ეპიცენტრში ტრიალებდა. 102 შრომის ავტორს, მრავალი ჯილდოსა და ტიტულის პატრონს, მოსაგონარი ბევრი ჰქონდა და ისიც არ დაგვზარდა, დიდი სიყვარულითა და სიამაყით გაიხსენა მისი მეუღლე და ცხოვრების ერთგული თანამგზავრი აკადემიკოსი მეტი ბზავა, ანინა, რომ ყველა წარმატებასა და ასპირანტურაში მიღებულ ყველა ხუთიანს სწორედ მას უძღვნდა, ეს სიყვარული ძალას

მატებდა, უფრო მეტისთვის მიეღწია. კითხვაზე: -ცხოვრება თავიდან რომ დაგეწყით რას შეცვლიდით? გვიპასუხა-არაფერს, რადგან ძალიან საინტერესო ცხოვრებით ვიცხოვრე და უამრავ საინტერესო ადამიანს შევხვდი ცხოვრების გზაზეო.

სიამაყით გვიყვებოდა დედამამშვილებზე, შვილსა და შვილიშვილზე. ადამიანებზე, რომლებიც თავის დროზე ქმნიდნენ ანასაულის ისტორიას, გული სტკივა, რომ ანასაულის ახლა ისეთი არაა, როგორც ადრე, მაგრამ იმედი აქვს, რომ ახალგაზრდები ამ ლამაზ ადგილს ძველად აყვავებენ და აღორძინებენ. შეხვედრა ქალბატონ ანასთან ჩვენთვის ყველა გაკვეთილზე დიდი გაკვეთილი იყო. ამ შეხვედრამ ბევრი რამ გვასწავლა და ბევრ რამზე დაგვაფიქრა. დამშვიდობებისას გულიანად დაგვლოცა და დაგვარევა. იმ დღის ემოცია დიდხანს გავგვცა. ჩვენი კლუბის წევრი თონა ლობჯანიძე მისი მეზობელი და მეგობარია, მასზე ზრუნავს და ეხმარება.

ჯანმრთელობას, მხნეობას და ოჯახის გაძლიერებას ვუსურვებთ ქალბატონ ანას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენდა სამაყოდ.

სამოქალაქო განათლების კლუბი

**ველოტური-
“არა ოჯახურ
ძალადობას”**



საინიციატივო ჯგუფი: **“ზვენი სიტყვა
ჩვენი საქმე”**
ჯგუფის წევრები:
1. თინათინ ღლონტი (555614553)
2. ინგა ფრანგულაშვილი (568334426)
3. შორენა პაპავა (555945533)
4. ხათუნა ხომერიკი (558587581)
5. შორენა ჭელიძე
6. გოგა მახარაძე

ფონდი ტასო
Taso Foundation

ქალაქი რაზვიანის განვითარებისთვის

შეხვედრა
ოჯახური ძალადობა

თარიღი 20.05.2012
დრო: 11 სთ

რატარების ადგილი: **ს. დვამუ**

☎ 593765482
790320042

მისამართი: **ჩრუგეთი, ს. დვამუ
ა) ან “ქაღალდის რევიონის
განვითარებისთვის”**

პაცმა, რომელმაც მუშენიერების იცოდა ფასი.

ადამიანი, რომელიც ამჯერად მოდის, ირგვლივ ყველას უხარია, თვითონ კი ტირის...
ტირული ალბათ იმის ნიშანია, რომ ცხოვრება ყოველთვის ია-ვარდებით მოხვნილი არ იქნება და ადამიანი ბედნიერი წუთებით სმირად ვერ იქნება განებერებული...
ბედნიერება, მართლაც საკურთხეველის წინ დანთებულ სანთელს ჰგავს, ვერ ღოცვა არ დაგი-მთავრდება, ის კი უკვე ჩაიფერფლა... მაგრამ ბედნიერი წუთებისათვის, მისი გასანგრძობისათვის სიმ ნამდვილად ღირს ცხოვრება...
სწორედ მშვენიერების, ამაღლებულობის შემეცნებისკენ ისწრაფავდა მამჩემი-ელგუჯა შევარდნაძე მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე და სხვებსაც ეხმარებოდა თვალსაწიერის გაფართო-ებაში თავისი ჟურნალისტური კალმითა და ალლოთი.
შვილის მხრიდან მამის ქება შეიძლება უხერხ-ულიც კი იყოს, მაგრამ როცა ჭეშმარიტება დალადებს, სხვა ყველაფერი უკანა პლანზე გადადისო. მიქელანჯელო წერდა: „წაიღეთ ყველაფერი, ოღონდ აფროთოვანების ნიჭს ნუ წამართმევთ“—
მასხენდება მამჩემის აფროთოვანებისაგან გაბრწყინებული თვალები, როცა თავის საყვარელ თემებზე: ლიტერატურაზე, თეატრზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე საუბრობდა. წერის დროსაც ოსტატურად ახერხებდა ზომიერების დაცვას. სმირად ოთხ-გვერდიან გახეთში ერთი გვერდი მის თეატრალურ რეცეპტებს და დიდი მხატვრების შემოქმედებას ეძღვნებოდა. ჟურნალისტური კონტაქტები ხელ-ოვნების დიდ კორიფეხთან ბედნიერების მომტანი იყო მისთვის. მარტო ლაღო გუდაშვილთან ურ-თიერთობები რად ღირს.
აფროთოვანების ნიჭს ახალგაზრდობაში მოგზა-ურობების დიდი სიყვარული ერთვოდა თან: ბალტიისპირეთის ქვეყნები, მოსკოვი, პეტერბურგი — თავისი „ერმიტაჟით“, გერმანია-თავისი „დრეზდე-ნის“ გაღერით. აქ ნანახი რაფაელის „სიქსტის ძაღლი“ — მამჩემს ყოველთვის აიცილებდა თავისი სიდადით, ასევე პარიზში — „ლუვრის“ მუზეუმში ნანახი ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“... კასპლანკა, პავანა... შემდეგ კი, როცა ჩვენს ქვეყანას მძიმე წლები დაუდგა, ნელ-ნელა იკლო მოგზაურობე-ბის სურვილმაც... მაგრამ მამჩემი მაინც არ წვეტ-და კავშირს მსოფლიო ხელოვნებასთან და მის უკ-იდევან ოკეანეში რომ იტყვან, გაბეულად დაეუ-რავდა. ამის დასტური განსაზღვრავდა ალბომი და წიგნი, რომელთა ფურცლებს სათუთად ელოლი-აგებოდა. მზე მეტყველებს ჩვენი ბინის კედლები, სადაც მისი სულიერება იგრძნობა.
ამბობენ, ნიჭიერების გაცემა ორმაგი ნიჭიერებაა... სწორედ, დაგროვილი ცოდნის გაც-ემის სურვილმა მიიყვანა იგი გიმნაზიაში ხელოვნების გაკვეთილების ჩასატარებლად. მანამდე კი სამედიცინო ტექნიკუმშიც კითხულობდა ლექ-ციებს.
აფროთოვანების ნიჭი მხოლოდ ხელოვნების სფეროს როდი მოიცავდა... მამჩემი ბედნიერი იყო, რომ ყველა გულითადი მეგობრები, განსაკუთრებით ერთგული კი ბატონი ჟორა (გიორგი) თენიშვილი იყო, რომელიც მოგვიანებით მისი ნათია გახდა. ნახევარ საუკუნეზე მეტი მუშაობდა მამჩემი რეგიონის ერთ-ერთ წამყვან გახეთში პასუხისმგებელი მდი-ენის თანამდებობაზე ნიჭიერი ადამიანების გარემოცვაში, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ იყო ტოლერანტი, გემოვნებიანი და არ უყვარდა კარი-ერისტი პიროვნებები, რადგან ის მათთან საერთო ენას ვერ პოულობდაო.
მამ ბედნიერი იყო, რომ 52 წელიწადი ცხოვრობდა საყვარელი მეუღლის გვერდით და ნიშნად მარადიული სიყვარულისა, სიკვდილამდე თითოდან არ მოუსხნია ქორწინების ბუკვილი. დღემდე მსმირად მიმართავდა: „ჩემო მშვენიერო“ და მე ეს ორი მრავლისმეტყველი სიტყვა ძალიან, ძალიან მიყვარდა. დედა ამბობს: — არ მასხოვს სახლში შესვლისას როდესმე პირველი თვითონ შესულიყო. თავისი ესთეტური მანერით სუსტი სქესის მიმართ ყო-



ველოტის ყურადღებანი იყო. ქალის კულტი ოჯახში ნამდვილად უნდა არსებობდეს.

მამა მუდამ სითბოთი და თავისებური მოწიწებით იხსენებდა თავის პედაგოგ მშობლებს ანასა და შალვას. სწორედ მამას უმადლოდა თავის მიდრეკილებას ხელოვნებისადმი, რომლის 100 წლის იუბილეს არაჩვეულებრივი სტატია მიუძღვნა სათაურით: „მამა, მუდამ დროულად ჩემთან რომა.“
თვალზე ცრემლმორიეულმა იცოდა თავისი სიძის, მოსიყვარულე და ქვეყნიეთი დიდი თვლის მქონე ზურაბ მამულაშვილის გახსენება, რომლის უდროოდ წასვლა დიდი დანაკლისი იყო ოჯახისთვის და მილიანად ოზურგეთისთვისაც.

მამჩემს გადამეტებული სიყვარული იცოდა შვილების, ჩემი და ჩემი დის—თამარის მიმართ, რასაც თან სდევდა ჩვენდამი გაორმავებული სიფრთხილის გამოჩენა. მასხოვს, როგორ ღელავდა, როცა ტურის-ტული მოგზაურობით ლენინგრადში გვაცილებდა მე და ჩემი დის დაქვლებს პირველად დამოუკიდებლად.
მასხენდება, დედას რამდენიმე ხნით საღმრეთო მოუხდებოდა წასვლა, ქალის საქმესაც არ თაკილობდა, იცოდა ამით საყვარელ მეუღლეს საქმეს რომ უშუბუტქებდა, რისი მოწმეც სმირად გახლდათ დედაჩემის ბიძაშვილი—მერი, რომელსაც მამა ჩვენი ოჯახის წევრად თვლიდა.

შემდეგ მამჩემს ცხოვრებამ ბედნიერების და ახალი აფროთოვანების ლამაზი არსებები — შვილიშვილები აჩუქა: ჩემი ორი ვაჟი ზურაბი და დავითი, ჩემი დის ქალიშვილები: ნინო და ნია; მოგვიანებით კი შვილიშვილი, მშვენიერი ანა შექმნა ოჯახურ დინასტიას. იგი 18 აგვისტოს 8 წლის ხდება და თითქმის ყოველ დაბადების დღეს დიდი ბაბუის მშობლიურ ასკანაში ატარებს. ეს სოფელი მართლაც სისხლსორცეულაა მამჩემისთვის. აქ აღიზარდა თვითონ და მისი საყვარე-ლი და-ძმ — მაყვლა და უმცროსი ძმა—ლუკა. აქაურ ეზო-კარმიდამოს მამჩემის მიერ დარგული ხეხილი და ათასგვარი ვიშის ყვავილი ამწვენებს. ისინი ყვოდნენ არამარტო ეზოში, არამედ მის გულშიც.

82 წლის მიწურულს კი ამ გულმა შეწყვიტა ტერა და ზობის ბრწყინვალე დღესასწაულს იმ ქვეყანს მიეხსალა...
დასაწყისში ვწერდი, ადამიანის დაბადებას სიხარულით ხვდებიან, ჩვილი კი—ტირის-მუთქი. ამ დღეს კი ჩვენ ვტიროდით.

პ.ს. 30 წლის წინათ დაწერილი ჩემი მარ-გინალებიდან ერთმა მათგანმა მიიქცია ყურადღება. აი, ისიც: ადამიანი ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავიაო— თურმე რამხელა სიძაღლეა საჭირო, ადამიანი რომ იყო. მაშინ, კონკრეტულად არავინ მიგულისხმბა. ახლა კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ადამიანი ჩემთვის მამჩემი ელგუჯა შევარდნაძეა.

ნიკო შვიპარდნაძე

ლინეტა ნინიკე

გარდაცვალა ღვაწლმო-სილი პედაგოგი და ღირსეული მოქალაქე ლინეტა ნინიკე. გული გვწყდება, რომ მისეული შემართებით აღარ შეძობაძვებს იმ სკოლაში, სადაც ოთხი ათ-ეული წლის განმავლობაში ასწავლიდა ნორჩ აღსაზრ-დელებს. ამასთან ერთად უზარ-მზარი სიყვარული წაიღო და დატოვა კიდევ.



სადაც მუშაობდა 1968 წლამდე. პედაგოგიური საქმიანობა გააგრძ-ელა შრომის საშუალო სკოლაში სადაც ის 1971 წლიდან დღემდე აღამაზებდა სიკეთით, გულმონწყა-ლებით და შრომისმოყვარეობით სასკოლო ცხოვრებას.
ლინეტა მასწავლებელი იყო კარგი მეუღლე, დასასხლისი, მეზო-ბელი, სხვათა ჭირისა და ღონის გულთან ახლოს მიმტანი და გაშზარებული, თანამდგომი, ტკბილი ბებია...
მეღია უმისოდ გამოწვეული სიცარიელის შევსება. ვვჯერა, რომ ჩვენი სამაყო კოლეგის ლამაზი სული მარადიულობაში გადაინაცვლებს. მის სახ-ელს არასდროს უწერია დავიწყება.

ლინეტა ნიკოლოზის ასული ნინიკე დაიბადა 1941 წლის 4 ივლისს სოფ. ასკანაში. 1958 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედა-გოგიური ინსტიტუტის დაწყებითი სწავლების ფაკულტეტზე.
1964 წლის 1 სექტემბრიდან მუშაობდა ოზურგეთის სკოლა-ინტერნატში მასწავლებლად.

**სოფ. შრომის საჯარო სკოლის
აკადოლეტიკი.**

ოზურგეთელი კალათბურთელები წინ მიიჭევენ



დასრულდა ბავშვთა საკალათბურთო ლიგის II წრის თამაშები.
ოზურგეთის სპორტსკოლის კალათბ-ურთელები ორ ასაკობრივ ჯგუფში (1995-96; 1999-2000 წ.წ.) იღებდნენ მონაწილეობას.
უფროსი ასაკის კალათბურთელებმა 3 თამაში მიიგეს, მათ შორის დაამარცხეს ზაზა

ფაჩულიას სახელობის კლუბის გუნდი, ერთი დათმეს და ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.
უფროსების წრამატება უმცროსი ასაკის კალათბურთელ-ებმაც გაიზარეს და საქართვე-ლოს 12 საუკეთესო გუნდს შო-რის მოხვდნენ, რომელთა ფესტი-ვალი 31 მაისს დაიწება ქ. თბი-ლისში. (გუნდის მწვრთნელი აზა მყავანაძე).
მცროსი ასაკის კალათბ-ურთელთა გუნდში გამოდიოდნენ: გიორგი ქილიფთარი, გიორგი ვაზ-რამოვი, ლუკა სუნგულია, ჯემალ შარაძე, სან-დრო კვერდელიძე, რეზო ცეცხლაძე, ზურაბ კოსტავა, გიორგი ხაჩატურიანი, ვანო შანიძე, რამაზ სკამკონაიშვილი, ანზორ ჯინჭარაძე, ერეკ-ლე მექვაბიშვილი.

გუნდის თბილისში გამგზავრება ოზ-ურგეთის სპორტსკოლამ დააფინანსა.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს საკრებულოს
დეპუტატ მერაბ მჟავიას მამის
ბური მშაშიას გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს საკრებულოს
დეპუტატ თემურ სალუქვაძეს ბებიის
მარუსია ლაზარენაძის გარდაცვალების გამო.

